მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლების გზების ძიება

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების მასწავლებელი
ია ცნობილაძე

2019 წელი

სარჩევი

თავი I შესავალი.....3

თავი II ანალიზი და საკვლევი საკითხი.....4

მუხლი 4. დაწყებითი საფეხურის მისია 6

თავი III ლიტერატურის მიმოხილვა 7

თავი IV საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მეთოდები.....15

თავი V ინტერვენციები 25

თავი VI კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, დასკვნები.....27

ბიბლიოგრაფია.....29

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.....30

დანართი 1.....31

დანართი 2.....32

თავი I შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ჩემ მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევას, რომელიც ჩავატარე სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლაში.

აღნიშნულ სკოლაში ვმუშაობ 1998 წლიდან და ვასწავლი დაწყებით კლასებს, 2011 წლიდან ვარ უფროსი მასწავლებელი. ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი ჩემი საქმიანობის სფეროში შემეტანა სიახლეები, ჩემს პრაქტიკაში დამენერგა სწავლების თანამედროვე მეთოდები. სსიპ სორმონის საჯარო სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, სკოლას ჰყავს მაღალკვალიფიციური მასწავლებლები. მოგეხსენებათ, სწავლა სწავლების დროს მრავალი პრობლემური საკითხი იჩენს თავს, რადგან საქმე გვაქვს სხვადასხვა ინტერესის, მოთხოვნილების და აღქმის უნარის მქონე ბავშვებთან. საკვლევად შევარჩიე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება მეორე კლასის მოსწავლეებში. კითხვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანი ცხოვრებაში. სწორედ, დაწყებით კლასებში ეუფლება ბავშვი კითხვის სტრატეგიებს, ამ ასაკში განსაკუთრებული მოტივაცია ესაჭირება მას და მასწავლებელმა და მშობელმა მიზნის მისღწევად მოტივაციის ორივე ფორმა თანაბრად უნდა გამოიყენო. ვფიქრობ ჩატარებული კვლევა დამეხმარება, გადავჭრა პრობლემა, გავაანალიზო კვლევის შედეგები და კვლევის მიგნებები გამოვიყენო მომავალში ჩემს პროფესიულ საქმიანობაში.

ნაშრომი შედგება ექვსი თავისაგან. I თავში მოცემულია შესავალი, II თავი ეხება სიტუაციის ანალიზსა და საკვლები საკითხის მოკლე მიმოხილვას, III თავი- დამუშავებულ ლიტერატურას, IV თავში აღწერილია საკვლევი საკითხის შესწავლის ეტაპები და კვლევის მეთოდები, V თავი ეხება განხორციელებულ ინტერვენციებს, VI თავში მოცემულია კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები და დასკვნები. კვლევის ბოლოს განთავსებულია გამოყენებული ლიტერატურა, რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ და დანართები.

კვლევის განხორციელების დროს გაწეული დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, მეორე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

საკვანძო სიტყვები: კვლევა, მოტივაცია, კითხვა

თავი II ანალიზი და საკვლევი საკითხი

2.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

პრაქტიკის კვლევა ჩავატარე მეორე კლასში, რომელსაც ვასწავლი მეორე წელია ქართულს, მათემატიკას და ბუნებას, ანუ კვლევის სამიზნე ჯგუფია მეორე კლასის მოსწავლეები. აღნიშულ კლასში სწავლობს რვა მოსწავლე, მათ შორის ერთი არის სსსმ მოსწავლე, ჯგუფში სწავლობენ სხვადსხვა შესაძლებლობის ბავშვები. კვლევა ჩავატარე თემაზე „მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლების გზების ძიება“

“სწავლება ბევრს ნიშნავს, წახალისება კი – ყველაფერს”.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

“სინამდვილეში დიდი ადამიანი გაგრძნობინებს, რომ შენც შეიძლება გახდე დიდი”.

მარკ ტვენი

ჩემ მიერ შერჩეული თემა აქტუალურია, რადგან ნებისმიერ საქმიანობას მოტივაცია უდევს საფუძვლად.მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს - ისწავლოს, მიაღწიოს შედეგს. სწავლის, კითხვის მოტივაცია მნიშვნელოვანია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია განათლების მიღება სკოლაში.

მოტივაცია წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. მოტივირებულ მოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგად ეუფლება კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას , კითხვა მისთვის სასიამოვნო პროცესად იქცევა და ჩამოაყალიბებს ნამდვილ მკითხველად და არა გადამკითხველად. მოტივაციის ნაკლებობის დროს მოსწავლეს ვერ ფლობს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას, ჩამორჩება კითხვაში, ვერ იაზრებს წაკითხულს, აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი, რაც ხელ უშლით გაიგონ და გაიაზრონ ტექსტი, ეს იწვევს მათ აკადემიურ ჩამორჩენას ყველა სასკოლო საგანში.

ზოგიერთი ბავშვი სწავლისადმი შინაგანად მართულია და დიდ ენთუზიაზმს ამჟღავნებს, ნაწილს კი კითხვისადმი მოტივაციის გასაღვიძებლად დამატებითი სტიმულები, წახალისება სჭირდება და ამას მასწავლებლისგან, მშობლებისგან, გარშემომყოფთაგან მოელიან. მასწავლებელმა წარმატებით რომ გაართვას თავი ამ რთულ ამოცანას, იგი თავად უნდა ერკვეოდეს იმ საკითხებში, რომლებიც დაეხმარება მას მიზნის მიღწევაში.

მიმაჩნია, რომ მოზარდის კარგ მკითხველად ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება, კითხვას ყოველი ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, კითხვა-სწავლის ძირითადი იარაღია, თუ მოსწავლე ნელა, ცუდად კითხულობს, ის ვერაფერს ასწრებს, მას სწავლის ინტერესი უქვეითდება, ამიტომაც დაწყებით საფეხურზე კითხვის

უნარ-ჩვევების განვითარება უმნიშვნელოვანესია, რადგან მას ეფუძნება მოსწავლეთა მიღწევები სხვადასხვა საგანში.

ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებულ მოსწავლეებს ვკითხე თუ რა წაიკითხეს დასვენების დღეებში, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა წაკითხული ასაკობრივად შესაბამისი ლიტერატურა და შეეძლო წაკითხულზე შთაბეჭდილების გადმოცემა, მეორე ნაწილს ჰქონდა წაკითხული ერთი ან ორი მცირე ზომის ზღაპარი, თუმცა არ შეეძლო მოეთხრო წაკითხულის შესახებ, იყვნენ ბავშვები, რომელთაც არდადეგების განმავლობაში არც არაფერი წაუკითხავთ. მეორე კლასში კითხვასთან დაკავშირებულ სხვა სირთულეებსაც წავაწყდი, კერძოდ, მოსწავლეთა ნაწილს უჭირდა საშინაო დავალებად მიცემული ტექსტების კითხვა, რის გამოც გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა. ჩემი საკვლევი საკითხი ასე ჩამოვაყალიბე „მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების ძიება და გაუმჯობესების გზების დადგენა," გადავწყვიტე გამომეკვლია არსებული პრობლემები, მისი გამომწვევი მიზეზები, მომეძებნა გადაჭრის ეფექტური გზები.

ვფიქრობ, ეს კვლევა სასარგებლო იქნება ჩემთვის, ჩემი მოსწავლეებისათვის, ასევე კოლეგებისთვისაც, რადგან მათ მოსწავლეებსაც შეიძლება ჰქონდეთ კითხვაში მსგავსი პრობლემები, ასევე მშობლებისთვისაც.

სარგებელი მოსწავლეთათვის: ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა მოსწავლეებს აუმაღლებს კითხვის მოტივაციას, გაიუმჯობესებენ კითხვის უნარებს, კვლევის დროს ჩემ მიერ გამოყენებული და მრავალფეროვანი მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს მორგებული აქტივობები, სასწავლო მეთოდები მოსწავლეებს კითხვის სურვილს გაუღვივებს, დაინტერესებული გახდება სასწავლო პროცესით და აქტიურად ჩაერთვება მასში, ვფიქრობ კითხვა მათთვის სიამოვნებად იქცევა და გაიზრდება მათი აკადემიური მოსწრება, შესაბამისად მიიღწევა ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები.

სარგებელი მასწავლებლისათვის: დავადგენ მოსწავლეთა საჭიროებეს და ვიმოქმედებ შესაბამისად, შევძლებ მოსწავლეთა დაინტერესებას და მოტივაციის გაზრდას, დავნერგავ მრავალფეროვან სტრატეგიებს და გავიუმჯობესებ საკუთარ პრაქტიკას.

სარგებელი კოლეგებისთვის: დანერგავენ სხვათა გამოცდილებას საკუთარ პრაქტიკაში, კერძოდ, იხელმძღვანელებენ ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშით და მოაგვარებენ მოტივაციასთან დაკავშირებულ მსგავს პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეებს ჩამოყალიბდნენ აქტიურ მკითხველებად.

2.2 კვლევის მიზანი

ჩემი საკვლევი თემის მიზანია მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის დაბალი მოტივაციის დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება, მიგნებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვა. მიზანი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან.

თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები

მუხლი 4. დაწყებითი საფეხურის მისია

დაწყებითი საფეხურის მისიაა:

ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

2.3. კვლევის ამოცანები:

- საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება იმის დასადგენად, თუ როგორი მოტივაცია აქვთ მოსწავლეებს კითხვისადმი;
- კითხვარების შედგენა
- მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა
- პრობლემის გადაჭრის გზების ძიება;
- მონაცემთა კოდირება და ანალიზი;
- ინტერვენციების განხორციელება

2.4 კვლევის ჰიპოთეზები

კვლევის დასაწყისში გაჩნდა გარკვეული ჰიპოთეზები, რომლებიც სრულად დადასტურდა კვლევის მიმდინარეობის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ. კერძოდ,

- დაბალი მოტივაცია კითხვაში ჩამორჩენას განაპირობებს;
- რაც უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვს მშობელს წიგნისადმი, მით უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ბავშვს წიგნისადმი.
- გაფორმებული (ილუსტრირებული) წიგნები ზრდის მოსწავლის მოტივაციას კითხვისადმი;

- მასწავლებლის ეფექტური უკუკავშირი ზრდის მოსწავლის მოტივაციას;
- საგაკვეთილო პროცესში მიზნობრივად გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ზრდის მოსწავლის მოტივაციას კითხვისადმი.

2.5 კვლევის ეთიკური ნორმები

1. ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები კვლევის პროცესში ჩართული სამიზნე ჯგუფისთვის არ შეიცავდა არანაირ რისკს;
2. კვლევაში ჩართული მოსწავლეები და მშობლები, ინფორმირებულები იყვნენ ჩემი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ;
3. კვლევის ფარგლებში გამოყენებული პირადი მონაცემები მოსწავლეებისა და მათი მშობლებისა იქნება მხოლოდ ზოგადი დასვნების ფორმატში გაანალიზებული და არ დაექვემდებარება ინდივიდუალურ გამოქვეყნებას.

თავი III ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის წარმოებისას გავეცანი ლიტერატურას, პირველ რიგში ყურადრება გავამახვილე დაწყებითი კლასების მოსწავლეთა განვითარების ასაკობრივ თავისებურებებზე, ამიტომ გავეცანი მანანა მელიქიშვილის „ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს“.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლების წარმატებით წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინება. ბავშვის ემოციური და გონებრივი თავისებურებების, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ცოდნა ეხმარება პედაგოგს, დაამყაროს კონტაქტი მოსწავლეებთან, წარმართოს მათი განვითარება, თავიდან აიცილოს მრავალი შეცდომა მათი სწავლისა და აღზრდის საკითხში. ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა აძლევს პედაგოგს საშუალებას არა მხოლოდ გაიგოს ბავშვის განვითარების ასაკობრივი კანონზომიერებები, არამედ ხელი შეუწყოს და განავითაროს მოსწავლის ყველა საუკეთესო თვისება.

სკოლაში მისვლისას ბავშვი აღმოჩნდება უფრო „მკაცრ“ და „არალოიალურ“ გარემოში და თუ როგორ მოახერხებს იგი ახალ გარემოსთან ადაპტაციას, მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული. პედაგოგმა აუცილებლად უნდა იცოდეს, ბავშვის განვითარების თავისებურებები, ვინაიდან, სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ დაშვებული შეცდომა შეიძლება გახდეს საფუძველი-იმედგაცრუების, ოჯახში და სკოლაში კონფლიქტის, სწავლაში წარუმატებლობის. უარყოფითი ემოციური მუხტი, რომელიც შეიძლება მიიღოს ბავშვმა დაწყებით კლასებში, დიდ გავლენას მოახდენს ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე.

ბავშვის განვითარება მოიცავს მის ფიზიკურ, კოგნიტურ და ფსიქო-სოციალურ განვითარების სფეროს.

უმცროს საკოლო ასაკში ბავშვი შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების უნებლიე ფორმიდან ფსიქიკური აქტივობის ნებისმიერ, დამოუკიდებელ ფორმაზე გადადის, რასაც აქვს თავისი მიზანი, მოტივი, განხორციელების ხერხები და საშუალებები. საწყის ეტაპზე მოსწავლის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, თანდათან მას უვითარდება სინთეზური აღქმა, ხოლო სწავლების შედეგად აღქმა ხდება ანალიზური. აღთქმისთვის ასევე დამახასიათებელია ემოციურობა. ბაშვზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მასწავლებელის ემოციური შექება, შეფასება, ვიდრე ნეიტრალური ტონით ნათქვამი „საქებარი“ სიტყვები.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობებით, როგორიცაა: ხატვა; სურათების დათვალიერება; მათი აღწერა; მსგავსება-განსხვავების პოვნა; ძერწვა, ლექსების, ზღაპრების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა; გამოცანების გამოცნობა და ა. შ.

სასწავლო საქმიანობა მოითხოვს კარგად განვითარებულ ყურადღებას. ბავშვმა უნდა შეძლოს, წარმართოს ყურადღება სასწავლო ამოცანებზე. უმცროსი სასკოლო ასაკისთვის დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ნებისმიერი ყურადღება, სამაგიეროდ კარგად აქვს განვითარებული უნებლიე ყურადღება. ყველაფრი ახალი, საინტერესო და ნათელი ადვილად იქცევს ბავშვის ყურადღებას. ბავშვმა შეიძლება არ შეაჩეროს ყურადღება სასწავლო მასალის არსებით დეტალებზე, მაგრამ შეაჩეროს არარსებითზე. ბავშვის ყურადღება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან, ამიტომ მას უჭირს ყურადღების კონცენტრირება მისთვის გაუგებარ, ბუნდოვან მასალაზე. ნებისმიერი ყურადღების განვითარებისთვის საჭიროა „ახლო“ მოტივაციის გამოყენება, ესაა: მასწავლებლის შექება, შეფასება, დავალების კარგად შესრულება.

მასწავლებელმა ბავშვს უნდა განუვითაროს ცნებითი და ლოგიკური აზროვნება, მსჯელობა, დასკვნების გაკეთების უნარი.აზროვნება არის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და მიმართების დამყარება, გარე სამყაროს მოვლენებსა და ობიექტებს შორის.

ბავშვის მეტყველება მჭიდროდ უკავშირდება აზროვნების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ზეპირი მეტყველების განვითარება უმცროს სასკოლო ასაკში ძალიან თვალშისაცემია, უფრო მნიშვნელოვანია ბავშვის მიერ კითხვისა და წერის დაუფლება, წერა და კითხვა სიმბოლური კომუნიკაციის ფორმებია, რომლებიც საჭიროებს აღქმის, ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების განვითარების გარკვეულ დონეს.

წიგნიერების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური და კულტურული ფაქტორები, ლ. ვიგოტსკის თანახმად ბავშვები სწავლობენ წერას და კითხვას მშობლებთან, და-ძმასთან, მასწავლებელთან, თანატოლთან ურთიერთობის საფუძველზე, ამიტომ აუცილებელია მასწავლებელმა დასვას შეკითხვები წაკითხული შინაარსის გარშემო, ისაუბროს ბავშვებთან წაკითხულის შესახებ და გაარკვიოს, რა გაიგეს და რა ვერ გაიგეს წაკითხული მასალიდან. ასეთი ინტენსიური კომუნიკაცია მეტად მნიშვნელოვანია წიგნიერების განვითარებისთვის, ვინაიდან აქ მყარდება კავშირი იმას შორის, რაც ბავშვმა უკვე იცის და რასაც იმ მომენტში კითხულობს ან წერს.

უმცროს სასკოლო ასაკისთვის დამახასიათებელია შინაგანი მეტყველების განვითარებაც. შინაგანი მეტყველება არის მეტყველების სახე, რომელიც უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს და ქცევის თვითრეგულაციას.

უმცროს სასკოლო ასაკში ვითადება არა მხოლოდ შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები, არამედ იქმნება ახალი პირობები ბავშვის პიროვნული ზრდისთვის. ბავშვის პიროვნულ ზრდაზე გავლენას ახდენს სასწავლო და თამაშის სიტუაცია, შრომითი აქტივობა და ურთიერთობები.

მნიშვნელოვანი ცვლილება ბავშვის პიროვნული განვითარების თვალსაზრისით არის მე-კონცეფციისა თვითშეფასების განვითარება.

მე-კონცეფცია არის წარმოდგენა საკუთარ თავზე. თვითშეფასება არის თვით შემეცნების კომპონენტი, რომელიც მოიცავს საკუთარი ფიზიკური, პიროვნული, ინტელექტუალური მახასიათებლების, მორალური თვისებებისა და ქცევის შეფასება.

უმცროს სასკოლო ასაკში დადებითი თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს, როგორც ბავშვის წარმატებები სკოლაში, ასევე დადებითი დამოკიდებულება უფროსების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ მეორე კლასის მოსწავლეების უმრავლესობას თვითშეფასება მკვეთრად უქვეითდებათ. ამას უწოდებენ „მეორე კლასელის ფენომენს.“ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მეორეკლასელები კრიტიკულები ხდებიან თავიანთი თავის მიმართ. ისინი ორიენტირებულები ხდებიან სასწავლო საქმიანობის ხარისხზე, ხოლო თავიანთი სასწავლო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები ჯერ კარგად არ აქვთ განვითარებული. მოგვიანებით თვითშეფასება ისევ აიწევს ამიტომ აუცილებელია ბავშვს ვასწავლოთ, რომ მნიშვნელოვანია არა შეფასება, არამედ ცოდნა, უნარები, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა. უფროსებმა არ უნდა შეაფასონ ბავშვის აზროვნება ნეგატიურად, რადგან ეს აისახება მის თვითშეფასებაზე. იმის მიხედვით თუ როგორი თვითშეფასება აქვს ბავშვს, მან შეიძლება წაახალისოს ან, პირიქით, დათრგუნოს ბავშვის აქტივობა. ბავშვის თვითშეფასება გავლენას ახდენს სკოლაში წარმატებულ სწავლაზე და

პირიქით, სწავლაში წარმატებები ბავშვის თვითშეფასებაზე. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვს ჩამოუყალიბდეს ადეკვატური თვითშეფასება, რადგან თვითშეფასება გავლენას ახდენს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, სწავლაზე, სოციალურ ურთიერთობებზე. („ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები“ 2013წ. ავტ. მანანა მელიქიშვილი გვ. 9-32)

სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს მოტივაცია თამაშობს, ამიტომაც მასწავლებელი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას გაუჩენს, ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი თეორია, მოსაზრებები და რეკომენდაციები არსებობს, გადავწყვიტე გავცნობოდი მათ, რაც ვფიქრობ დამეხმარება პრობლემის მოგვარებაში.

მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება,ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს - ისწავლოს, მიაღწიოს შედეგს. არსებობს მოტივაციის ორი კლასი- შინაგანი და გარეგანი მოტივები. შინაგანი მოტივაციის დროს ქცევას საფუძვლად უდევს ადამიანის ინტერესები, მოთხოვნილებები, როდესაც ჩვენ შინაგანად ვართ მოტივირებულნი, ჩვენ არ გვჭირდება წახალისება ან დასჯა. ხოლო გარეგანი მოტივაციის დროს ქცევა ხორციელდება კარგი შეფასების მიღებისთვის, დასჯის თავიდან აცილების მიზნით, მშობლის სიამოვნებისთვის და ა.შ. ამ შემთხვევაში ქცევას ვახორციელებთ არა იმიტომ, რომ ის გვაინტერესებს, არამედ იმიტომ, რომ გვაინტერესებს რას მოგვიტანს ეს ქცევა.

თუ მასწავლებელს ყოველთვის შინაგანი მოტივაციის იმედი ექნება, მას იმედგაცრუება ელის. არის სიტუაციები, როცა გარე მხარდაჭერა აუცილებელია. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს როგორც შინაგანი მოტივაციის გაჩენასა და შენარჩუნებაზე, ასევე გარეგანი მოტივაციის ჩართვაზეც. ამისთვის კი საჭიროა მოტივაციაზე გავლენის ფაქტორების ცოდნა.

შინაგანი მტივაციისათვის გამომწვევი რეკომენდაციებია:

- დაუკავშირეთ საკლასო აქტივობა მოსწავლეთა ინტერესებს სპორტსა და მუსიკაში, ტელევიზიასა და კინოს, მათ ოჯახურ და მეგობრებთან დაკავშირებულ პრობლემებს.
- გამოიწვიეთ ცნობისმოყვარეობა
- აქციეთ სასწავლო აქტივობა გასართობად. გამოიყენეთ სიმულაციები და თამაშები.
- გამოიყენეთ სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები-თანამშრომლობა, შეჯიბრება, ინდივიდუალური პროექტები.

არსებობს მოტივაციისადმი ოთხი ძირითადი თეორიული მიდგომა. ესაა: ბიჰევიორისტული,ჰუმანისტური, კოგნიტური და სოციო - კულტურული.

ბიჰევიორისტები ყურადღებას გარეგან მიდგომებზე ამახვილიბენ. ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. თუ ჩვენ მუდმივად წაგვახალისებენ გარკვეული ქცევის გამო, ჩვენ გაგვივითარდება ჩვევა ან ტენდენცია განვახორციელოთ გარკვეული ტიპის ქცევა. გარეგანი განმტკიცება, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შინაგანი მოტივაციის ფორმირებაზე, უნდა აღინიშნოს რომ განმტკიცების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაზე.

(„მოტივაცია“ ავტორი მანანა მელიქიშვილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2013 წელი)

დავით უზნაძის აზრით, სასწავლო აქტივობები განპირობებული უნდა იყოს შინაგანი მოტივაციით (ცნობისმოყვარეობა,ინტერესი და ა.შ.) , ასეთ დროს მოსწავლისათვის თავად აქტივობა უფრო მნიშვნელოვანია , ვიდრე ჯილდო. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს სწავლის წყურვილი გაუზარდოს, ბავშვს გაუჩნდება სწავლის მოთხოვნილება და შესაბამისად, განწყობაც.

მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის გაღვიძებისათვის შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- გამოავლინეთ მოსწავლეთა ინტერესები, ჰობი, მათთვის საინტერესო საქმიანობა, რომელიც გაკვეთილებსა და დისკუსიებში შეიძლება იქნეს ჩართული.
- ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა შორის ურთიერთობას, რათა მათ გაუზიარონ ერთმანეთს პირადი გამოცდილება, ნახატები, ნაწერები...
- გამოავლინეთ კლასის ექსპერტები სხვადასხვა საქმიანობაში
- იქონიეთ მოსწავლეთა ინტერესებისა და ჰობის შესაფერისი საკლასო ბიბლიოთეკა
- უფლება მიეცით მოსწავლეებს, გააკეთონ არჩევანი თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით
- ჩართეთ სასწავლო პროცესში იუმორი, პიროვნული გამოცდილება, ანეგდოტები, რაც ხელს შეუწყობს კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას
- გამოიყენეთ საინტერესო შინაარსისა და დეტალების შემცველი მასალა
- შევქმნათ სიუტპრიზების, მოლოდინისა და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სიტუაცია.

- სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვის შემდეგ, დ. უზნაძის მიერ გამოყენებული ცნება „აღზრდის ტრაგედია“ დაძლეული იქნება.
  (ავტ.მანანა მელიქიშვილი . დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია ,2013 წელი)

მოსწავლეებში კითხვითი უნარების განვითარების და ამ კუთხით მოტივაციის ამაღლების მიზნით გავეცანი ლიტერატურას.

საერთშორისოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით, კითხვის ადრეულ ეტაპზე გამოყოფენ ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ კითხვის პროცესში:

- ფონოლოგიური ცნობიერება გულისხმობს სიტყვის აკუსტიკური ხატის შემადგენელი უმცირესი ერთეულების - ბგერების ანუ ფონემის- გაცნობიერებასა და მათი გამოყენების უნარს.
- ანბანური პრინციპის გაგება, ანუ მოსწავლე აცნობიერებს, რომ თითოეულ ბგერას შეესაბამება გარკვეული გრაფიკული გამოსახულება-ასო, ასოები კი ქმნიან კონკრეტულ სიტყვებს.
- თავისუფლად კითხვა გულისხმობს ძალდაუტანებელი, ავტომატური კითხვის უნარს, მთლიანი სიტყვის ამოცნობას ერთი შეხედვით.
- ლექსიკის დაუფლება გულისხმობს სიტყვების სრულყოფილად გაგებისა და გამოყენების უნარს, როგორც ზეპირ მეტყველებაში, ასევე კითხვისა და წერის დროს.
- წაკითხულის გააზრება. იგი თავის თავში მოიცავს რთულ კოგნიტურ პროცესებს, რომელიც ეხმარება მკითხველს აზრი გამოიტანოს წაკითხულიდან, კითხვის პროცესშიც დააფიქსიროს მისთვის გაუგებარი ან რთულად გასაგები ადგილები და გამოიყენოს სათანადო სტრატეგიები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

კითხვაში წარმატების მისაღწევად უმნიშველოვანესი ფქტორია მოტივაცია. სწორედ მისი ნაკლებობა და არარსებობა აფერხებს კითხვის უნარის განვითარების პროცესს. კითხვის უნარების განვითარების მიზნით მასწავლებელი უნდა დააკვირდეს თითოეულ მოსწავლეს სწავლების ყველა ეტაპზე და გამოავლინოს ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ კომპონენტში სჭირდება მას დახმარება და ამის მიხედვით ყურადღება გაამახვილოს გაკვეთილზე შესაბამის კომპონენტზე. ზოგს შესაძლოა ყველა ამ კომპონენტში სჭირდებოდეს დახმარება, ზოგს მხოლოდ მოტივაციის პრობლემა უშლიდეს ხელს სწავლაში. კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეები სასურველია მასწავლებელმა ჩართოს ჯგუფურ აქტივობებში, საჭიროების შემთხვევში იმუშაოს მათთან ინდივიდუალურადაც.

არიან მოსწავლეები, რომელთაც უჭირთ მრავალმარცვლიანი და უცნობი სიტყვების ამოკითხვა, რაც ხელს უშლის მათ წაკითხულის გააზრებაში. ამ დროს მასწავლებელმა უნდა იმუშაოს შემდეგი მიმართულებით:

- ასწავლოს მათ, როგორ დაშალონ სიტყვა მარცვლებად;
- ავარჯიშოს ისინი გრძელი, მრავალმარცვლიანი სიტყვების წაკითხვაში;
- ხშირად წააკითხოს მოსწავლეებს განსხვავებული, უჩვეულო ბგერითი შემადგენლობის სიტყვები;
- ასწავლოს მათ სიტყვის დაშლა ცნობად ნაწილებად;
- ასწავლოს და ავარჯიშოს მოსწავლეები სიტყვების შემადგენელ ნაწილებად დაშლასა და ამ ნაწილების გამოყენებით ახალი სიტყვების შედგენაში;
- ასწავლოს მათ, როდის და როგორ გამოიყენონ სიტყვის სტრუქტურული ანალიზის ცოდნა მათთვის უცნობი ან რთული სიტყვების წასაკითხად

კითხვის სწავლების პროცესში სასარგებლოა სიტყვების სწავლებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა, თუმცა ასეთი აქტივობების ხანგრძლივობა მოსაწყენი რომ არ იყოს, სასურველია, არ აღემატებოდეს 10-15 წუთს.

კარგი მკითხველის ერთ -ერთი უმთავრესი მახასიათებელი თავისუფლად კითხვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მკითხველი ავტომატურად შიფრავს და კითხულობს სიტყვებს, აჯგუფებს და განაცალკევებს მათ ისე, რომ გაუადვილდეს მთლიანი წინადადებისა თუ ტექსტის გაგება. თავისუფლად კითხვა ძალიან მნიშვნელოვანი უნარია, ამ უნარის მფლობელს შეუძლია სიტყვები ავტომატურად წაიკითხოს.ტექსტის ავტომატურად და სწორად წაკითხვის უნარი ხელს უწყობს წაკითხულის გაგებას. აუცილებელია მასწავლებელმა ინტენსიურად ამუშაოს ის მოსწავლეები, რომლებიც ნელა და შეფერხებით კითხულობენ. მათ უნდა მიეცეთ საშუალება ხმამაღლა იკითხონ , რაც შეიძლება ბევრი და მიიღონ უკუგება მათზე უფრო გაწაფული მკითხველისაგან. გასათვალისწინებელია, რომ კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს თავისუფალი კითხვის პრობლემა აქვთ და ასეთი მოსწავლეები სწავლაშიც ჩამორჩებიან.

თავისუფალი კითხვის უნარის დასაუფლებლად არსებობს ორი სახის ინტერვენცია: განმეორებითი ხმამაღალი კითხვა (ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და მოსმენა) და მრავალფეროვანი ურთიერთგანსხვავებული ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა. ზოგირთ სპეციალისტს განმეორებითი კითხვა ნაკლებ ეფექტურად მიაჩნია მოზრდილი მკითხველებისთვის, სასურველია მასწავლებელმა ორივე სახის ინტერვენცია გამოიყენოს და დააკვირდეს მოსწავლეთა კითხვის უნარების განვითარებას. იმ მოსწავლეებთან სამუშაოდ, რომელთაც შედარებით მძიმე პრობლემები აქვთ თავისუფალ კითხვაში მასწავლებლებმა შეიძლება გაითვალისწინოს

შემდეგი: მასწავლებელმა პერიოდულად ხმამაღლა წაუკითხოს ტექსტი თავის მოსწავლეებს, მისცეს ნიმუში. ამ მიდგომის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა ახალი საკითხავი მასალის შეთავაზებისას.

სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა პირდაპირ კავშირშია წაკითხულის გააზრებასთან და მოსწავლის აკადემიურ წარმატებასთან. ცხადია, წარმატებული მკითხველი დიდ ლექსიკურ მარაგს ფლობს, ვიდრე ჩამორჩენილი, რაც განპირობებულია იმით, რომ წარმატებული მკითხველი უფრო მეტს კითხულობს და შესაბამისად უფრო მეტ ახალ ლექსიკურ ერთეულს ითვისებს, ხოლო ჩამორჩენილი ცოტას კითხულობას ან საერთოდ არ კითხულობს და შესაბამისად იგი ვერ ეუფლება კითხვის საჭირო სტრატეგიებს, რაც განაპირობებს მისი ლექსიკური მარაგის სიღარიბეს.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ლექსიკის დაუფლებაში? ლექსიკის სწავლება შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად:

1)ცალკეული სიტყვების სწავლება პირდაპირი გზით; 2) სიტყვის გაგების სტრატეგიების სწავლება, რაც მოსწავლეს შემდგომში დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას მისცემთ; 3) აკადემიური ლექსიკის სწავლება.

მოსწავლეს უნდა ჰქონდეს უნარი გააზრებულად წაიკითხოს ტექსტი, დაიმახსოვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია. კარგი მკითხველი კითხვის პროცესში მუდმივად ცდილობს დაუკავშიროს და მოახმაროს წაკითხულს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება. წარმატებული მკითხველი დაკვირვებით ადევნებს თვალყურს საკუთარ თავს კითხვის დროს. ატარებს თვითმონიტორინგს და თუ რამე ვერ გაიგო, მიმართავს შესაბამის სტრატეგიებს ხარვეზის გამოსასწორებლად.

წაკითხულის გააზრებას ხელს უწყობს კითხვის დაწყებამდე წინარე ცოდნის გააქტიურება, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ახერხებს დააკავშიროს არსებული ცოდნა შესასწავლ მასალასთან. ასევე სასარგებლოა წაკითხულის გასააზრებლად გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება, მისი საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აღიქვას ტექსტის შინაარსი მარტივად და თვალსაჩინოდ დაიმახსოვროს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი. გრაფიკული მაორგანიზებლებია აზრობრივი რუკა, ვენის დიაგრამა, ამბის რუკა, ცნებათა რუკა, ქრონოლოგიური რუკა, ობობას ქსელი და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია , რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ საკუთარი კითხვის პროცესის კონტროლი

მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხულის შეჯამება და წაკითხულიდან აზრის გამოტანა .პირველე ტაპზე მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ტექსტში ძირითადი წინადადების ამოცნობაში. ტექსტის შეჯამებაში მოსწავლეებს დიდ დახმარებას უწევს

გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება. ასევე კარგია ტექსტის გასააზრებლად კითხვების დასმა და კითხვებზე პასუხის გაცემა.

მოტივაცია წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. მოტივირებულ მოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს, ამიტომ სულ უფრო კარგად ეუფლება და თავისუფლად იყენებს კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს, იაზრებს წაკითხულს. ცხადია, თუკი მოზარდს სიამოვნებს კითხვა,ის ბევრს კითხულობს და მუდმივად იზრდება, როგორც მკითხველი. ჩამორჩენილი მკითხველის პრობლემა კი სწორედ მოტივაციის ნაკლებობაა. ამის გამო მათ ნაკლებად აქვთ გამომუშავებული გააზრებული კითხვის უნარი, ვერ ფლობენ კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს, აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი, რაც ხელ უშლით გაიგონ და გაიაზრონ ტექსტი, ეს იწვევს მათ აკადემიურ ჩამორჩენას ყველა სასკოლო საგანში. ჩამორჩენილი მკითხველები კი არც კლასგარეშე ლიტერატურას კითხულობენ სიამოვნებით. აუცილებელია ეფექტური მეთოდებისა და გზების ძიება კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად. თუ მოსწავლე ორი-სამი წლით ან მეტით ჩამორჩება თავის თანატოლებს კითხვაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი წლების განმავლობაში გარიყულები იყვნენ სასწავლო პროცესიდან, ან საჭიროებდნენ მასწავლებლის ან მშობლის მეტ ყურადღებას. ასეთ მოსწავლეებს უნდა დავუბრუნოთ საკუთარი თავის რწმენა და შინაგანი მოტივაცია. კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად ზოგიერთი სპეციალისტი გამოყოფს ოთხ უმთავრეს მიდგომას. ესენია:

1. კითხვის მიზნის განსაზღვრა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით;
2. მოსწავლეთა არჩევანის პატივისცემა;
3. საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა;
4. მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის წახალისება
   (ირინა სამსონია, „წიგნიერება“ ,მასწავლებლის წიგნი)

კვლევის ანგარიშის სრულყოფისათვის ვიხელმძღვანელე „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის“ მეორე ნაწილით, 2013 წელი)

თავი IV საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მეთოდები

4.1 კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები

საკვლევი თემის სწორად წარმართვისათვის შევარჩიე ორი მთავარი კითხვა:

1. რა იწვევს უმცროს სასკოლო ასაკის მოსწავლეებში კითხვის დემოტივაციას?

2. რა გზები არსებობს ისეთი, რომელიც დამეხმარება მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლებაში?

მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემაში დამეხმარა შემდეგი ქვე კითხვები:

- რა არის მოტივაცია?
- ვგეგმავ თუ არა გაკვეთილს მრავალფეროვანი აქტივობებით?
- გაკვეთილის დაგეგმვის დროს ვითვალისწინებ თუ არა მოსწავლეთა ინტერესებს, ინსივიდუალურ თავისებურებებსა და შესაძლებლობებს?
- ვზრუნავ თუ არა პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე?
- ზრუნავენ თუ არა მშობლები შეუქმნან ბავშვებს წიგნიერი გარემო?
- ეხმარებიან თუ არა მშობლები შვილებს კლასგარეშე ლიტერატურის შერჩევაში?
- როგორ იაზრებენ მოსწავლეები წაკითხულს.

4.2 კვლევის ვადები

კვლევა დავიწყე 2019 წლის ოქტომბერში და დავამთავრე 2019 წლის აპრილში.

წარმოგიდგენთ დროში გაწერილ კვლევის ვადებს ცხრილის სახით:

		ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი
1	საკვლევი თემის შერჩევა	✓						
2	ლიტერატურის მიმოხილვა	✓	✓	✓	✓	✓		
3	კვლევის გემის შემუშაება	✓						
4	ფოკუსჯგუფთან შეხვედრა		✓			✓		
5	კითხვარების შედგენა და შევსება		✓					
6	მონცემთა ანალიზი		✓				✓	✓
7	ინტერვენციების განხორციელება			✓	✓	✓		
	კვლევის კოლეგებისთვის გაზიარება							✓

4.3 სამიზნე ჯგუფი

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის მეორე კლასის შვიდი მოსწავლე;
- სოფელ სორმონის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სამი და მეორე კლასში შემავალი 2 მასწავლებელი;
- მეორე კლასის მოსწავლეთა ექვსი მშობელი
  სულ 18 რესპოდენტი

4.4 კვლევის მეთოდები

ჩემი პრაქტიკის კვლევის წარმატებით წარმართვისა და კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვება განვახორციელე თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

- თვისობრივი
  დაკვირვება- სამიზნე ჯგუფი: მოსწავლეები
  ფოკუსჯგუფი- სამიზნე ჯგუფი მასწავლებლები
  ინტერვიუ- სამიზნე ჯგუფი მოსწავლეები, მშობლები
- რაოდენობრივი
  ანკეტირება- სამიზნე ჯგუფი მოსწავლეები, მშობლები

4.5 მონაცემთა ანალიზი

ფოკუსჯგუფი ჩავატარე დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას დაწყებით საფეხურზე I-VI კლასებში, ასევე მეორე კლასში შემავალ მუსიკა-ხელოვნებისა და ინგლისური ენის მასწავლებელთან. ჩემი მიზანი იყო გამერკვია თუ როგორი მოტივაციით კითხულობდნენ მოსწავლეები საგაკვეთილო ტექსტებს, ავალებდნენ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვს და როგორი იყო მოსწავლეთა აქტიურობა, რა პრობლემები აქვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და რა ხერხებსა და მეთოდებს იყენებენ მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად. ითვალისწინებენ თუ არა მოსწავლეთა ინტერესებსა შესაძლებლობეს გაკვეთილების დაგეგმვის დროს, აქტიურად თანამშრომლობენ თუ არა მშობლებთან. თითქმის ყველა მონაწილე აღნიშნავდა, რომ კითხვა განსაკუთრებით იმ მოსწავლეებს არ მოსწონთ, რომლებსაც უჭირთ იგი, კითხულობენ ნელა, რის გამოც დიდ დროს ანდომებენ კითხვას, უჭირთ წაკითხულის გააზრება. აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე ნაწილზე სოციალური მდგომარეობაც ახდენს გავლენას, ნაწილს არა აქვს სახლში მისი ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, ზოგი თანამშრომლობს ბიბლიოთეკასთან, მაგრამ წიგნებს ან ზერელედ, ან საერთოდ არ კითხულობს და ისე აბრუნებს ბიბლიოთეკაში.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი კითხვაში გაწაფულია, კარგად იაზრებს წაკითხულს, რის გამოც მათი მოტივაცია კითხვაში მაღალია. ინტერვიუ საკმაოდ პოზიტიურ გარემოში წარიმართა. მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფით მივიღე ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც დამეხმარა მოსწავლეთათვის და მათი მშობლებისათვის კითხვარის შედგენაში.

დაკვირვება- ამ მეთოდების დროს განხორციელდა გაკვეთილზე დაკვირვებები. წინასწარ შედგენილი საგაკვეთილო გეგმების მიხედვით განვახორციელე დაკვირვება მეორე კლასის მოსწავლეებზე, საკუთარ და სხვა მასწავლებლის გაკვეთილებზე, ჩემი მიზანი იყო შემესწავლა პრობლემის გამომწვევი მიზეზები და დამესახა ინტერვენციები.

ანკეტირება: მონაცემთა სიზუსტის დასადგენად ჩავატარე რაოდენობრივი კვლევა, რისთვისაც მოვამზადე დახურული და ღია ტიპის ბარათები მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. მოსწავლეებს კითხვარები შევავსებინე სკოლაში, წინასწარ გავაცანი შევსების წესი, უფრო მეტი გულწრფელები რომ ყოფილიყვნენ, ავუხსენი რომ სახელი და გვარი არ დაეწერათ. კითხვარები დანართის სახით თან ახლავს კვლევას (დანართი 1).

მშობლებს კითხვარები გავუგზავნე სახლში. მშობლებმა ანონიმურობის დაცვით შეავსეს კითხვარები, რომლებიც დანართის სახით ახლავს კვლევას. (დანართი 2)

პედაგოგიური კვლევის პროცესში ვაწარმოებდი დაკვირვების დღიურს, სადაც ვინიშნავდი სხვადასხვა მეთოდების გამოყენების შემდეგ მოსწავლეთა აქტივობის ხარისხს . საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებამ მიჩვენა, რომ 2 მოსწავლეს უჭირს კითხვა, რის გამოც უხალისოდ ასრულებს დავალებებს, დაბალია ჩართულობა და შესაბამისად სასწავლო შედეგებიც, ორი მოსწავლე კითხულობს, თუმცა უჭირს გააზრება, რის გამოც მოსწავლეებს დაბალი მოტივაცია გააჩნიათ კითხვის მიმართ.

დაკვირვებისა და რაოდენობრივი კვლევის მონაცემები მეტი თვალსაჩინოების მიზნით წაარმოვადგინე დიაგრამების სახით.


კითხულობთ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?
4,5
4
3,5
3
2,5
2
1,5
1
0,5
0
დიახ
არა
Series 1


გაქვთ თუ არა სახლში საკითხავი წიგნები
კი
არა
ცოტა
41%
59%
0%


მშობლებთან ერთად დადიხართ თუ არა წიგნების მაღაზიაში?
კი
არა
43%
57%


ვისი დავალებით კითხულობთ?
14%
43%
43%
მასწავლებლის
მშობლების
საკუთარი


წიგნს კითხულობ?
11%
25%
64%
ჯილდოს გამო
მშობლების მოთხოვნით
საკუთარი სურვილით


ვისთან გამოხატავ წაკითხულის შესახებ ემოციას?
ოჯახის წევრთან
14%
თანაკლასელთან
0%
მაწავლებელთან
86%



ანკეტირების შედეგების გაანალიზებამ მიჩვენა, რომ გამოკითხული შვიდი მოსწავლიდან ბიბლიოთეკა აქვს სახლში მოსწავლეთა 41%, ხოლო 59% აქვს მხოლოცდ მცირე რაოდენობის წიგნი. წიგნის მაღაზიას მშობლებთან ერთად სტუმრობს 43%, ხოლო 57% არა, ყველა მოსწავლეს სჭირდება სახლში მშობლის შეხსენება კითხვასთან დაკავშირებით, გამოკითხულთაგან 80% შთაბეჭდილებებს უზიარებს სკოლაში მასწავლებელს, ხოლო 14% ოჯახის წევრს, თანაკლასელებს შორის კი არ ხდება შთაბეჭდილებების გაზიარება, კლასგარეშე ლიტერატურას კითხულობს სამი მოსწავლე ოთხი არა, ჯილდოს გამო კითხულობს მოსწავლეთა 64%, მშობლების მოთხოვნით 25%, ხოლო 11% შინაგანი მოტივაციით, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობს 2 მოსწავლე, 5 კი არა.

გამოკითხული მშომლების 29% აქვს ოჯახში წიგნის კითხვის ერთობლივი ტრადიცია, 71%არა, გამოკითხულთა მხოლოდ 14% დადის შვილებთან ერთად თეატრსა თუ კინოში, 57%-ს უაყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 29% მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებლის მიერაა ორგანიზებული.


გაქვთ თუ არა ერთობლივი კითხვის ტრადიცია ოჯახში?
კი
29%
არა
71%
კი
არა


საჭიროების შემთხვევაში ეხმარები თუ არა შვილს კითხვაში?
29%
0%
71%
კი
არა
ზოგჯერ


ინტერესდებით ლიტერატურით რომელსაც თქვენი შვილი კითხულობს?
43%
57%
0%
კი
არა
ზოგჯერ


დადიხართ თქვენს შვილთან ერთად თეატრში კინოში?
14%
29%
57%
კი
არა
მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებლის მიერაა ორგანიზებული

თავი V ინტერვენციები

5.1 ინტერვეციების დაგეგმვა და განხორციელება

მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლების მიზნით კვლევის პროცესში გავეცანი სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ლიტერატურას. კოლეგებთან თანამშრომლობისა და კვლევის მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით შევარჩიე რამდენიმე ინტერვენცია:

ინტერვენცია 1. კოლეგებთან ერთად დავგეგმე გაკვეთილები მრავალფროვანი აქტივობებითა მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაკვეთილებზე ინტენსიურად ვიყენებდი სხვადასხვა გრაფიკულ მაორგანიზებლებს, კითხვის მრავალფეროვან მეთოდებს.

ინტერვენცია 2. ჩამოვაყალიბე მკითხველთა კლუბი „ვიკითხოთ ერთად“, მოვიწვიეთ მშობლები, უფროსკლასელები.

ინტერვენცია 3. მოვაწყვე საკლასო ოთახში თეჯირი, დავდგით თოჯინური სპექტაკლები.

ინტერვენცია 4. მოსწავლეთა გაწევრიანება სკოლის ბიბლიოთეკაში

ინტერვენცია 5. კვირის ბოლოს საუკეთესო მკითხველის გამოვლენა და ცნობილი პერსონაჟის ტიტულის მინიჭება;

ინტერვენცია 6. კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, ხმამაღლა კითხვისა და განმეორებითი კითხვის მეთოდების გამოყენებით;

ინტერვენცია 7. დავამკვიდრე წიგნის ჩუქების ტრადიცია.

თავი 5.2 ინტერვენციის შედეგების ანალიზი

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ბუნებრივია დავინტერესდი ჩემ მიერ მიღებული შედეგებით, შევადარე დაკვირვების დღიურის მონაცემები ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდეგ. გამოვიყენე დაკვირვებისა და ინტერვიუს მეთოდი. დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე, რომ მოსწავლეები უფრო ხალისით კითხულობდნენ, ყველა მოსწავლე გაწევრიანდა სკოლის ბიბლიოთეკაში. თუ ინტერვენციამდე მხოლოდ 22% თანამშრომლობდა სკოლის ბიბლიოთეკაში, ინტერვენციის შემდეგ უკვე 100%, მიმდინარეობდა წაკითხული წიგნების გარჩევა. მშობლების გამოკითხვითაც აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები უფრიო მეტ დროს უთმობდნენ კითხვას და დაიწყეს შვილებთან ერთად წიგნების კითხვა და განხილვა. ინტერვენციამდე მშობლის 43% ინტერესდებოდა ლიტერატურით, რომელსაც მათი შვილი კითხულობდა, ინტერვენციის შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა 70%.

მოსწავლეებში საბოლოო ანკეტირების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, რაც სწორად დაგეგმილმა ინტერვენციებმა განაპირობა.ზემოაღნიშნული მონაცემების პროცენტული წილი დატანილია დიაგრამებზე.





თავი VI კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, დასკვნები

6.1 კვლევის მიგნებები

- მრავალფეროვანი, მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ თავისებურების გათვალისწინებით დაგეგმილი გაკვეთილი ამაღლებს მოსწავლის შინაგან და გარეგან მოტივაციას;
- დავეხმაროთ მოსწავლეებს საკითხავი წიგნების შერჩევაში, ამავე დროს მივცეთ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება.
- უნდა გავააქტიუროთ მშობელთა ჩართულობა კითხვის პროცესსა და წაკითხულის ირგვლივ საუბარში, წიგნების ერთობლივ კითხვაში;
- მშობლისა და მასწავლებლის შეთანხმებულ მუშაობას დიდი როლი აქვს მოტივაციის ამაღლების საქმეში;
- მასწავლებლის ეფექტური უკუკავშირი;
- მოსწავლესა და მასწავლებელს შორის თანამშრომლური და კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- თანამშრომლური სწავლების ხშირად გამოყენება გაკვეთილებზე;
- მოსწავლეთა კლასგარეშე და სასკოლო ღონისძიებებში ჩართვა. წიგნის პრეზენტაციები და ერთობლივი კითხვის საღამოები სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, უფროსი კლასის მოსწავლეებთან, მკითხველთა კლუბების შექმნა...

6.2 რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გაკეთებული ანალიზისა და დასკვნების შედეგად მასწავლებლებსა და მშობლებს შეიძლება მივცე შემდეგი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის:

- დაწყებითი კლასების მასწავლებლებს შორის გაღრმავდეს თანამშრომლობა, რათა მოხდეს ერთობლივად გაკვეთილების დაგეგმვა, ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა;
- პატივი სცენ მოსწავლის არჩევანს, მოსწავლემ თავად შეარჩიოს საკითხავი მასალა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს მასწავლებელი, ხშირად ჩართონ ჯგუფურ და წყვილურ მუშაობაში.
- გაკვეთილების დაგეგმვის დროს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, ასევე გამოიყენონ მრავალფეროვანი აქტივობები და სასწავლო რესურსები;
- ჩართონ მოსწავლეები სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში;
- მასწავლებსა და მშობლებს შორის იყოს ხშირი და აქტიური თანამშრომლობა.
- მასწავლებლები დაეხმარონ მოსწავლეებს გახდნენ სკოლის ბიბლიოთეკის წევრები.

რეკომენდაციები მშობლებს:

- გაითვალისწინონ ბავშვების ინტერესები მხატვრული ლიტერატურის შერჩევის დროს;
- გამოყონ დრო ოჯახური კითხვისათვის;
- შესაძლებლობის ფარგლებში შეუძინონ შვილებს წიგნები და ჟურნალები;

6.3 დასკვნა

სკოლაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს) შეგვიძლია დავასკვნათ,რომ მეორე კლასში კითხვის დაბალი მოტივაციის მიზეზებია:

- ერთფეროვანი გაკვეთილების სიხშირე;
- მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების ნაწილობრივ გათვალისწინება ან გაუთვალისწინებლობა;
- მოსწავლეთა ინტერესების გაუთვალისწინებლობა მშობლებისა და ნაწილობრივ მასწავლებლების მხრიდან;
- ოჯახში არასაკმარისი წიგნიერი გარემო
- გაკვეთილებზე გამოყენებული რესურსების სიმცირე;
- საკლასო ფიზიკური გარემო

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოირკვა, რომ თითქმის ყველა ინტერვენცია შედეგიანი იყო. ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიღწეული იქნა კვლევის მიზანი, მოვახერხე მეორე კლასის მოსწავლეებისათვის ამემაღლებინა კითხვის მოტივაცია, კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეები გამხდარიყვნენ მკითხველები, თუმცა ამ კუთხით მუშაობას მომავალ წელსაც გავაგრძელებ და გამოვიყენებ მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

ბიბლიოგრაფია

1. მელიქიშვილი მანანა „ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები“ 2013წ.
2. მელიქიშვილი მანანა „მოტივაცია“2013წ.
3. მელიქიშვილი მანანა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია 2013 წელი)
4. სამსონია ირინა „წიგნიერება“ მასწავლებლის წიგნი
5. ჭაუჭაძე გიორგი „როგორ დავწეროთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში“ გაზეთი „ახალი განათლება“ 02.08.05. 2019წელი
6. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი მეორე ნაწილი 2013 წელი
7. ეროვნული სასწავლო გეგმა
8. http://mastsavlebeli.ge/?p=1982

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

სსიპ სორმონის საჯარო სკოლის მეორე კლასში ვაწარმოე კვლევა „მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლების გზების ძიება“ კვლევის მიზანი იყო მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის დაბალი მოტივაციის დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება, მიგნებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვა.

კვლევა დავიწყე 2018 წლის ოქტომბრის თვეში და დავამთავრე 2019 წლის აპილის თვეში. კვლევის პროცესში გამოვიყენე შემდეგი მეთოდები: დაკვირვება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, ანკეტირება. შეგროვილი მონაცემების საფუძველზე გავაკეთე ანალიზი. გამოიკვეთა პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათი გამოსწორების მიზნით დავგეგმე ინტერვენციები. განხორციელებულმა ინტერვენციებმა მოსწავლეებში აამაღლა კითხვის მოტივაცია, თუმცა სრული შედეგისთვის საჭიროა მასწავლებლებმა და მშობლებმა იმოქმედონ ერთობლივად. ვფიქრობ, შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს როგორც საკუთარი, ისე კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას, სკოლაში თანამშრომლობას, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, რაც თავის მხრივ აამაღლებს სწავლა-სწავლების ხარისხს, კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებს, რომელთაც ანალოგიური პრობლემა აქვთ.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დასრულების შემდეგ ნაშრომი გავუზიარე კოლეგებს პრეზენტაციის სახით. ძალაინ საინტერესოდ წარიმართა. მათ დაადასტურეს, რომ საკვლევი პრობლემა იყო ნამდვილად აქტუალური. დაინტერესდნენ მეთოდებითა და სავარჯიშოებით, რომლებიც გამოვიყენე პრობლემის მოსაგვარებლად.

გამართული დისკუსიის შედეგად, მაწავლებლებმა გამოთქვეს აზრი. მათ ძირითადად მოიწონეს პრობლემის გადასაჭრელად განხორციელებული ინტერვენციები, მათ შორის ყველაზე პრიორიტეტულად მიიჩნიეს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს მორგებული სასწავლო პროცესი, ასევე მშობლებისა და სკოლის თანამშრომლობის გაღრმავება.

კოლეგებთან გაზიარებამ დამანახა მათი ინტერესი, მათ სურვილი გამოთქვეს თავიანთ პრაქტიკაში დანერგონ ჩემ მიერ გამოყენებული სტრატეგიები. სხვა სკოლის პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით კვლევას გამოვაქვეყნებ სოციალურ ქსელში.

მე, როგორც მკვლევარი პედაგოგი, კმაყოფილი ვარ, რომ შევძელი და ვაწარმოე პედაგოგიური კვლევა. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პრაქტიკული კვლევა მკვლევარს, მასწავლებელს ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებაში, იზრდება თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და ხდება გამოცდილების გაზიარება.

დანართი 1

კითხვარი მოსწავლეთათვის

მოგესალმებით, ვატარებ კვლევას „მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლების გზების ძიება“, თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, ამავე დროს მინდა გთხოვოთ იყოთ გულწრფელები, შეგიძლიათ სახელი და გვარი არ მიუთითოთ

1. გაქვთ თუ არა სახლში საკითხავი წიგნები?

ა) დიახ ბ) არა გ) ცოტა

2. ყოფილხართ თუ არა წიგნების მაღაზიაში მშობლებთან ერთად?

ა) დიახ ბ) არა

3. ვისი დავალებით კითხულობ?

ა) მასწავლებლის, ბ) მშობლების გ) საკუთარი სურვილით

4. წიგნს კითხულობ:

ა) ჯილდოს გამო ბ) საკუთარი სურვილით გ) იძულებით

5. ვისთან გამოხატავ წაკითხულის შესახებ ემოციას?

ა) თანაკლასელებთან, ბ) ოჯახის წევრებთან, გ) მასწავლებელთან

6. ხართ თუ არა სკოლის ბიბლიოთეკის წევრი?

ა) დიახ ბ) არა

7. როგორი წიგნები უფრო მოგწონთ?

ა) დასურათებული ბ) 3D წიგნები გ) სულერთია

დანართი 2

კითხვარი მშობლებისათვის

მოგესალმებით, ვატარებ კვლევას „მეორე კლასის მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლების გზების ძიება“, თქვენი, როგორც მეორეკლასელი მოსწავლის მშობლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, ამიტომ შეგიძლიათ სახელი და გვარი არ მიუთითოთ

1. თქვენი შვილი დამოუკიდებლად კითხულობს ტექსტებს სახლში?

   ა) ყოველთვის ბ)არასდროს გ) ზოგჯერ

2. გაქვთ, თუ არა ერთობლივად წიგნის კითხვის ტრადიცია ოჯახში?

   ა) კი ბ) არა

3. საჭიროების შემთხვევაში ეხმარებით შვილს კითხვაში?

   ა) კი ბ) არა გ) ზოგჯერ

4. ინტერესდებით თუ არა ლიტერატურით რომელსაც თქვენი შვილი კითხულობს?

   ა) კი ბ) არა გ) ზოგჯერ

5. დადიხართ თუ არა შვილთან ერთად თეატრში, კინოში?
   ა) კი ბ) არა გ) მხოლოდ მასწავლებლის მიერ როცაა ორგანიზებული
6. გიყვებათ თუ არა თქვენი შვილი წაკითხულიის შესახებ?
   ა) კი ბ) არა გ) ზოგჯერ
7. წაგიხალისებიათ შვილი მოთხრობის , ზღაპრის ან რამე წიგნის დასრულების შემდეგ?
   ა) კი ბ) არა გ) ზოგჯერ
8. სჯით შვილებს როცა კითხვა ეზარებათ და არ კითხულობენ?
   ა) არა ბ) კი